შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“
თბილისი, ა.ყაზბეგის გამზ. 14ა
Address: Tbilisi, A. Kazbegi ave. 14a
E-mail:info@auditescort.ge
Site:www.auditescort.ge
ს/კ/IN:. 205229439
T/Fax:. (+99532) 144 500

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის დასკვნა

შპს საფეხბურთო კლუბი თბილისი 2022-ის ხელმძღვანელობას

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას

შესავალი

2025 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებისა და შესაბამისი მომართვის საფუძველზე ჩავატარეთ შპს საფეხბურთო კლუბი თბილისი 2022-ის 2025 წლის 31 აგვისტოს ბალანსისა და ამ თარიღით დამთავრებული პერიოდის შესაბამისი მოგება-ზარალის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგები მიმოხილვა. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ შუალედური ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ მიღებული წესების შესაბამისად. ჩვენ გვევალება დასკვნის გაცემა აღნიშნულ შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმოხილვაზე დაყრდნობით.

მიმოხილვის მასშტაბი

მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტ 2410-ის - “სამეურნეო სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა” - შესაბამისად. შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა გულისხმობს გამოკითხვების ჩატარებას, ძირითადად, ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების, ასევე ანალიზური პროცედურებისა და მიმოხილვის სხვა პროცედურების

ჩატარებას. მიმოხილვის მასშტაბი არსებითად უფრო შეზღუდულია, ვიდრე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის. ამდენად, იგი არ იძლევა ისეთი რწმუნების მიღწევის საშუალებას, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეიძლება გამოვლენილიყო აუდიტში. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ აუდიტორულ მოსაზრებას;

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე არ შეგვხვედრია ისეთი რამ, რაც დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული შუალედური ფინანსური ინფორმაცია მომზადებული არ არის ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ მიღებული წესების შესაბამისად.

შპს თი აი ეი ჯი აუდიტესკორტის
პარტნიორი, რეგისტრირებული აუდიტორი მინდია ტაბაღუა

ფირმის რეგისტრაციის N SARAS-F- 240968

აუდიტორის რეგისტრაციის NSARAS-A- 631520

29 სექტემბერი 2026 წ.

თბილისი, საქართველო